პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 20 აგვისტო № 194 (16934) ფასი 2 კაპ. 1977

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო გამარჯვება

ატომური ყინულმჭრელი „არქტიკა“ ექსპერიმენტული რეისის ხელმძღვანელს — საზღვაო ფლოტის მინისტრს ამხ.

ფ. ბ. გუჟენკოს

ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ კაპიტანს ამხ. ი. ს. კუჩიევს

ჩრდილოეთ პოლუსის ექსპედიციის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი სიხარულით შევიტყე ჩრდილოეთი პოლუსის რაიონში ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ წარმატებითი რეისის ამბავი. თქვენ ხორცი შეასხით რუსი და საბჭოთა არქტიკის მკვლევარების შესანიშნავ ოცნებას, რომელიც მრავალ საუკუნეს ცოცხლობდა ჩვენს ხალხში, და განაგრძეთ საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის მშვიდობიანი ატომის გამოყენების საშვილიშვილო საქმე.

ჩრდილოეთის საზღვაო გზით ნაოსნობის ათვისებასა და გეგმაზომიერ განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლებიდანვე დიდი ძალა და სახსრები მოხმარდა. დიდი ლენინი უშუალოდ უღრმეს ყურადღებას უთმობდა უკიდურესი ჩრდილოეთის მეცნიერებისა და საწარმოო ძალების განვითარებისათვის ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებათა განხორციელებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის აღსანიშნავი თქვენი რეისი განხორციელდა მსოფლიოს უმძლავრესი ყინულმჭრელით, რომელიც სახელოვანმა ლენინგრადელმა მეზღვაურებმა და ენერგეტიკოსებმა აამენეს და რომელშიც საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტების უკანასკნელი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებია ჩაქსოვილი.

სხვადასხვა პროფესიის მეცნიერთა და სპეციალისტთა კოლექტიურმა შრომამ ისეთ რთულ და, პირდაპირ ვიტყვი, ფრიად საშიშ საქმეში, როგორიც არის რეისი მკაცრი ჩრდილოეთი პოლუსისაკენ, კიდევ ერთხელ დაადასტურა საბჭოთა მეზღვაურებისა და პოლარელების მაღალი მორალური და პოლიტიკური თვისებები.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩრდილოეთის საზღვაო გზით — არქტიკის მთავარი ეროვნული სატრანსპორტო მაგისტრალით ნაოსნობის განვითარებისა და სრულყოფაში.

ლ. ბრეჟნევი.

ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ ჩრდილოეთი პოლუსის რეისი კიდევ ერთ ფურცლად შეემატება საბჭოთა ხალხის საიუბილეო წლის ისტორიულ გამარჯვებათა შესანიშნავ მატიანეს.

ხურათზე: ატომური ყინულმჭრელი „არქტიკა“ ჩრდილოეთი ყინულოვან ოკეანეში.

სააღდესის ფოტო.

ბოსტნეულის კონვეიერი მოქმედებს

ოდესიდან ბოსტნეულით დატვირთული მანქანები. 100-200 ტონა კიტრს, პამიდორს, ყაბაყს, ოხრახუშსა და სხვა მწვანილეულს გზავნიან მიწათმოქმედები ოლქის ქალაქებისა და შუშათა დაბებიან მაღაზიებში. მოწინავე მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა საიუბილეო წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს 35 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც თითქმის მესამედით აღემატება დავალებას.

ბოსტნეთა დამკვრელური შრომის ამგვარი მაგალითი ბევრია ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. ხოფლის მეურნეობის მშრომელები აპირებენ წელს ხალხს მიაწოდონ 45 მილიონი ტონა ხილი, ბოსტნეული და კარტოფილი.

აგვისტოს შუა რიცხვებში დამზადდა დაახლოებით ოთხი მილიონი ტონა ბოსტნეული, რაც 482 ათასი ტონით აღემატება შეხედულებას გასული წლის ამავე პერიოდში. კარგად შრომობენ აზერბაიჯანისა და უზბეკეთის მიწათმოქმედები, რომლებიც წარმატებით ანადღებენ ხოცალისტურ ვალდებულებებს. მაღალი ხარისხის ახალი კარტოფილის დიდი პარტია მიაყიდეს ხახელმწიფოს საქართველოს მიწათმოქმედებმა. დამზადებას ზრდიან მოსკოვის, ბრიანსკისა და კალუგის ოლქების მეურნეობები. ბევრ პროდუქციას იღებენ ქალაქები მოლდავეთიდან, არაშავმიწანიადაგიანი ზონის ცენტრალური რაიონებიდან, ვოლგისპირეთიდან.

მაგრამ ხაქმე ყველგან როდი მიდის წარმატებით. ულიანოვსკის ოლქის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების მეურნეობებში მოსავლის აღება ვიანურდება, ხახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვა უფრო ნელა წარმოებს, ვიდრე შარშან. ეს იმით აიხსნება, რომ მინდვრად ხუხტია შრომის ორგანიზაცია, ირღვევა დამამზადებელი პუნქტებსა და მაღაზიებში პროდუქციის მიტანის გრაფიკი.

მოწინავე კოლექტივების გამოცდილება მოწმობს, რომ წარმატებას იქ აღწევენ, სადაც ხოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიზანია საუკეთესო ვადებში, უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, მოსახლეობას მიაწოდონ მეტი მაღალხარისხოვანი ბოსტნეული და ხილი. პარტიული ორგანიზაციების, სახოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების წინაშე დგას ამოცანა — გაავრცელონ ეს გამოცდილება, რათა უფრო სწრაფად წამოწონ ჩამორჩენილები.

ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხავაჭრო ხაწარმოებთან კოლმეურნეობებისა და ხაბჭოთა მეურნეობების პირდაპირი კავშირის განვითარებას. ლენინგრადისა და გორკის ოლქებში, ყაზახეთის მთელ რიგ რაიონებში ხავაჭრო და დამამზადებელ ორგანიზაციებს სპეციალიზებული ტრანსპორტი მოსავალი მინდვრებიდან უშუალოდ მაღაზიებში მიაქვთ. წარმოებას მუშაკთა მიერ შემუშავებული ბოსტნეულის აღებისა და გადაზიდვის გრაფიკი შეთანხმებულია ხავაჭრო საწარმოებთან და ხაკონსერვო ქარხნებთან. ახეთი მეთოდი შესაძლებლობას იძლევა არა მარტო ხაიმედოდ აიღონ თავიდან დანაკარგები, არამედ მყიდველებს მიაწოდონ უფრო ფართო ასორტიმენტისა და ხაუკეთესო ხარისხის ქორფა ბოსტნეული.

დამზადებისა და მოსახლეობის ხავაჭრო მომსახურების ორგანიზაციის ბოროგრესული ფორმა, უეჭველია, ფართო გავრცელების ღირსია. მაგრამ ამისათვის საჭიროა გადაწყდეს მოშწიფებული სამეურნეო ხაკითხები. ხაქმე უწინარეს ყოვლისა ეხება კოლმეურნეობებსა და ხაბჭოთა მეურნეობებისათვის ტარის მიწოდებას, აგრეთვე პროდუქციის კონტეინერული გადაზიდვის დანერგვას. მაგრამ ჯერჯერობით ხაქმე ნელა ვითარდება. ათიათასობით ტონა ხაზამთრის გადაზიდვა დაგეგმეს, მაგალითად, წელს სამდინარო ტრანსპორტით ასტრახანისა და ვოლგოგრადის ოლქებიდან. გამოანგარიშებულია: დასახულის შესასრულებლად რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტრომ ამ ოლქების მეურნეობებს უნდა მიაწოდოს 160 ათასი კონტეინერი. მერე? ბალჩეულის მოსავლის მასობრივი აღება უკვე იწყება, კონტეინერი კი მხოლოდ 70 ათასია მომზადებული. ძალიან ცოტა ტარაა ბოსტნეულისა და ხილის გადასაზიდად ქვეყნის სხვა რაიონებში. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან ტარის დამზადებასთან და გადაზიდვის ორგანიზაციასთან, უნდა უზრუნველყონ დადგენილი დავალებების დროული შესრულება.

ხერიოზულ პრეტენზიებს გამოთქვამენ ხოფლის მშრომელები ტრანსპორტის მუშაკთა მიმართ. მაგალითად, „პრავდის“ რედაქციაში მოდის ხიგნალები, რომ მოლდავეთში, სადაც გაჩაღდა მოსავლის მასობრივი აღება, რკინიგზელები ტირასპოლისა და ბენდერის სადგურებში ხაჭიროზე გაცილებით ნაკლებ ვაგონებს აწვდიან. ფოლადის მაგნტარალებსა და ხაავტომობილო ტრანსბზე ნელა ბრუნავენ ეფექტიანი რეფრიჟერატორების პარკი, დაბალია მათი ბრუნვა. ზუსტად დაიცვან ვაგონების, გემებისა და ავტომანქანების გამოყოფის გრაფიკი, უზრუნველყონ, რომ პროდუქცია არ გაფუჭდეს — ეს ტრანსპორტის მუშაკთა პირდაპირი მოვალეობაა.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობისაგან პროდუქციის ნამეტის შესყიდვას. ამასთან ფაქტები მოწმობენ, რომ ხამომხმარებლო კოოპერაციამ ბევრგან ეს ხაქმე კარგად ვერ მოაწყო. კრასნოდარის მხარის ხევეროსკაია რაიონში, მაგალითად, მოყვარულმა მებაღეებმა თვითონ მოაწყვეს მიმღები პუნქტი, მაგრამ კოოპერატორების მისვლას ხაშველი არ დაადგა. ამგვარი ფაქტები პარტიული და ხაბჭოთა ორგანოების ოპერატიულ ჩარევას საჭიროებს. მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა გაუმჯობესდეს მშრომელთა მომარაგება ბოსტნეებისა და ბაღეების ახალი პროდუქციით.

გაცხარებული ხეზონი დაუდგათ კვების მრეწველობის ხაწარმოთა კოლექტივებსაც. უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ზამთრისათვის მეტი ბოსტნეულისა და ხილის მომარაგების შესაძლებლობას იძლევა. ბევრი საკონსერვო ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს, მაგრამ კვლავ მეორდება შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებისა და ხაბჭოთა მეურნეობების მანქანები დდან ხაწარმოთა კართან. ახეთ ხურათს დაინახავთ, კერძოდ, გროზნოს კონსერვის კომბინატში. კვების მრეწველობის რესპუბლიკურმა ხამინისტროებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ყველა გადამმუშავებელი ხაწარმოს მუშაობა, უზრუნველყონ, რომ ბაღეებისა და ბოსტნების მოხავალს შეუფერხებლად იღებდნენ, წარმოება მიმდინარეობდეს ეფექტიანად, უმჯობესდებოდეს პროდუქციის ხარისხი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უმეთაურონ ხოციალისტურ შეჯიბრებას ხახელმწიფოსათვის ხილისა და ბოსტნეულის მიყიდვის ვალდებულებათა შესახრულებლად. ეს შეჯიბრება სრულ ეფექტს მაშინ მოგვცემს, თუ მოიცავს არა მარტო მიწათმოქმედებს, არამედ მაშინ მოგვცემს, თუ მოიცავს არა მარტო მიწათმოქმედებს, არამედ ერთიანი კონვეიერის ყველა რგოლის მშრომელებს მინდვრიდან ქარხანამდე, მაღაზიამდე და საცავამდე. როცა მომიჯნავეთა ხაქმიან თანამეგობრობას ვაგვარებთ, უნდა ვიზრუნოთ, რომ მთელ მოყვანილ და მოკრეფილ მოხავალს გეგმაზომიერად იღებდნენ მაღაზიები, მყიდველებს ვაწვდიდეთ ქორფა პროდუქციას, დროულად გადავცემდეთ მას გადასამუშავებლად და შეხანახად. კომუნისტებმა კადრებს უნდა ჩაუნერგონ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ხაერთო მეცადინეობის ხაბოლოო შედეგისათვის, მთელი წლის მანძილზე ძვირფასი ხურსათით მოსახლეობის შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის.

ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲘᲡ ᲞᲠᲐᲕᲓᲐ 19 აგვისტოს მოწყინავე

საოქტომბრო ვაჭტზე

გეგმა ყველა მაჩვენებლით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ოქტომბრის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე საწარმოო გაერთიანება „თბილეულის“ (დირექტორი გ. თოფაძე) კოლექტივმა ყველა მაჩვენებლით შეასრულა მიმდინარე საიუბილეო წლის შვიდ თვის საწარმოო დავალება.

გეგმის ზევით რეალიზებულია 45 ათასი მანეთის პროდუქცია. შვიდ თვეში მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა 101,6 პროცენტით იქნა შესრულებული, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14 პროცენტი შეადგინა.

მომხმარებელთა შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს იქაური ლუდი „თბილისი“, რომელსაც სახელმწიფო ხარისხის საპატიო ნიშანი აქვს მიკუთვნებული.

ყოველდღიური ნორმების გადაჭარბებით შესრულებით თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ და საიუბილეო შრომითს ვახტზე მოგებული ადგილები. ოქტომბრის მეექვსე ხანგრძლივობა ეძღვნება ოქტომბერ-ბალაქანელ ოსტატებს, ბ. ბ. ბ.

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

სახელმწიფოს საფუძველი

იწონებენ

საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ჩვენი სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოა, რომლის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, ე. ი. საბჭოთა ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატების საბჭოების საშუალებით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

დიდი უფლებებით სარგებლობენ დეპუტატები, როგორც ხალხის წარგზავნილები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ადგილობრივი საბჭოები ყოველთვის იყვნენ და არიან, ამას დასტურებს კონსტიტუციის პროექტიც, მოსახლეობასთან ყველაზე ახლო მდგომი სახელმწიფო ორგანოები.

სასოფლო საბჭოების სწორ და მოქნილ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოს გეგმების შესრულება, სოფლების კეთილმოწყობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება. ამ მიმართებით გასულ და მიმდინარე წელს გარკვეული მუშაობა გასწია ჩვენმა სასოფლო საბჭომ და მისმა აღმასკომმა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხუთთიდე წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში არცთუ იშვიათი იყო კანონმდებლობის ხუნდი დარღვევის ფაქტები, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენი სოფლის ცხოვრებაზე. სახელი გაუტყდა არა მარტო ცალკეული ადამიანებს, არამედ მთელ სოფელს, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი დედაქალაქის მახლობლად მდებარე სოფლებს შორის. საკარმიდამო ნაკვეთების უკანონო გაკეთება და უნებართვო მშენებლობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, წვრილბურჟუაზიული ინსტინქტებით გატაცება ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა. პირველ რიგში სწორედ ამას მიაქცია ყურადღება სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, და უნდა ითქვას, რომ ეს მავნე გადმონაშთები ძირითადად აღკვეთილია. სასოფლო საბჭოს აღმასკომი გარკვეულ მუშაობას ეწევა სოფლის კეთილმოწყობისათვის.

წლეულს ძირითადად დამთავრდება სოფლის შიდაგზების მოხრეშვა და შავი საფარით დაფარვა, რომლის სიგრძე 5 კილომეტრია. ასრულდა მოსახლეობის დიდი ხნის სურვილი — საფუძველი ჩაეყარა სამამულო ომში დაღუპულთა სახელობის სკვერის მოწყობას. წლეულს ახალ შეკეთებულ შენობაში გადავა სოფლის სამეურნეო და სამრეწველო მაღაზიები, სპორტული ბაგა. მექანიკურ ქარხანასთან შენდება 9-სართულიანი საცხოვრებელი, ასეთივე ბინის მშენებლობას დაიწყებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

დიდმნის სასოფლო საბჭოს სესიამ განიხილა ახალი კონსტიტუციის პროექტი და ერთსულოვნად მოიწონა იგი, დასახა ამოცანები მომდინარე სამეურნეო წლის დაგეგმვისა და ამ ამოცანების შესრულებისათვის. სასოფლო საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით სოფლის მოსახლეობაში დაიწყო კონსტიტუციის პროექტის შესწავლა, სოფლის ცალკეულ უბნებში დაიდგა საფოსტო ყუთები, სადაც გროვდება ის წინადადებები, შენიშვნები და სურვილები, რომლებიც კონსტიტუციის პროექტს ეხება.

მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა კონსტიტუციის პროექტის 92-ე მუხლთან დაკავშირებით. ამ მუხლს, რომელიც სახალხო დეპუტატთა საბჭოების ფუნქციებს შეეხება, უნდა დამატოს შემდეგი: „სახალხო დეპუტატთა საბჭოები კონტროლს უწევენ მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმო-დაწესებულებებს სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, მუშა-მოსამსახურეთა კულტურული მოთხოვნილებებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისაში და იღებენ სათანადო გადაწყვეტილებებს“.

სესიის მონაწილეებმა, ახალი კონსტიტუციის პროექტის ერთსულოვან მოწონებასთან ერთად, გამოთქვეს რწმენა, რომ ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი აწლებულ შინაარსს შემოიტანს ჩვენს ცხოვრებაში, კიდევ უფრო განამტკიცებს წარმატებებს, ახალი გამარჯვებებისათვის დარაზმავს მშრომელებს, ჩვენი სოფელიც ძლიერი გახდება, საკუთარი ქალების რწმენა და სიხარული დაიბუდებს ყველას გულში, რადგან კონსტიტუციაში ხალხი თავის კეთილდღეობის საფუძველს ხედავს.

ვ. თეთრაშვილი,

მცხეთის რაიონის დიდმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

მოწონებულია, მხარდაჭერა

გულდასმით სწავლობენ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სრულიად საკავშირო ხალაკეთი საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების თანამშრომლები.

ეს სურათი საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ვ. მოგბუნოვამ ხაზოგადოება ინტურისტის თბილისის განყოფილების მუშაკებს გადაუღო მაშინ, **როცა** ისინი ჩვენი ქვეყნის **ძირითადი** კანონის პროექტს განიხილავდნენ.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა დემოკრატია

რომელ უფლებებსა და თავისუფლებებს არ ვცნობთ?

არც ერთი სახელმწიფო არ ანიჭებს თავის მოქალაქეებს აბსოლუტურ, სრულიად შეუზღუდავ უფლებებსა და თავისუფლებებს. ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანს ამასთან ერთად აქვს ესა თუ ის მოვალეობანი, თორემ საშინელი ქაოსი დაისადგურებდა. ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვა, როგორც ხაზგასმულია მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში, აუცილებელია ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ შეზღუდვებს აწესებენ სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად, აგრეთვე სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემისათვის.

არც საბჭოთა სახელმწიფოა ამ მხრივ გამონაკლისი. იგი თავის მოქალაქეებს ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს ანიჭებს, მაგრამ ითვალისწინებს, რომ ამ უფლება-თავისუფლებების სარგებლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სხვა მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს. ეს ჩაწერილია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტშიც, რომელსაც ამჟამად ფართოდ იხილავენ ჩვენს ქვეყანაში.

ძალიან ფართოა კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებების სპექტრი. **ეს გახლავთ სიტყვის, პრესის, კრებების, სინდიხის, რეცხვიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება.** ეს გახლავთ უფლება, აირჩიონ და არჩეულ იქნენ ხელისუფლების ორგანოებში, მონაწილეობდნენ საწარმოთა მართვაში, ერთიანდებოდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, აარიტიკებდნენ ნაკლოვანებებს და სხვ.

ახალი კონსტიტუციის პროექტში შეტანილია სპეციალური კარი — **„სახელმწიფო და პიროვნება“.** აქ, ისევე როგორც სხვა კარებში, შემდგომ არის განვითარებული ადამიანის არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. ასეთ კონსტიტუციურად გარანტირებულ უფლებებს მიეკუთვნება შრომის, ბინის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის მიღწევებით სარგებლობის, დასვენების უფლება თანაც ყველა ეს უფლება ჩვენს ქვეყანაში მარტო დეკლარირებული კი არ არის: სსრ კავშირში თითქმის ნახევარი საუკუნეა მოისპო ეშმშევრობა, უკანასკნელი ოერთმეტი წლის განმავლობაში ყოველ შელიწადს ექსპლოატაციიდან ბარდება ას მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ბინები, ძირითადად უკვე დამთავრდა საყოველთაო აუცილებელი (ათწლიან) განათლებაზე გადასვლა, ყოველ ათი ათას მკვიდრებზე 33 ექიმი მოდის, მეტი, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში...

შეზღუდვები პირდაპირ ინიშნება ამ ნუსხაში, მაგრამ ისინი აუცილებელია და გამტკიცებულიც გახლავთ, როგორც ამას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტი მოითხოვს, კანონმდებლური წესით.

საბჭოთა სახელმწიფო, კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ სცნობს სხვისი შრომის ექსპლოატაციის უფლებას. ეს ნიშნავს, რომ არც ერთ პირს ან პირთა ჯგუფს არა აქვს უფლება ფლობდეს, ვთქვათ, ქარხანას, რადგან სსრ კავშირში გაუქმებულია წარმოების საშუალებათა ერძო საკუთრება. ყველა ქარხანა, ფაბრიკა, მაღარო და ბანკი საერთო-სახალხო საკუთრებაა. და სწორედ ეს შეზღუდვაა სოციალისტური დემოკრატიის არსი, მოქალაქეთა თანასწორობის ეკონომიკური საფუძველი. რადგან რომელ თანასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი ქარხნის მფლობელსა და დაქირავებულ მუშას შორის, ბანკირსა და კლერკს შორის?..

საბჭოთა მოქალაქეები მოკლებული არიან ომის პროპაგანდის თავისუფლებას. **სსრ კავშირის** უმაღლესმა საბჭომ ჯერ კიდევ 1951 წელს მიიღო კანონი „მშვიდობის დაცვის შესახებ“, რომლის თანახმად პიროვნება იურიდიულად ისჯება ომის პროპაგანდისათვის. ეს შეზღუდვა დადასტურებულია ახალი კონსტიტუციის პროექტში:

„სსრ კავშირში ომის პროპაგანდა აკრძალულია კანონით“.

საბჭოთა კავშირში არ გახლავთ აგრეთვე რასისტული თუ ნაციონალისტური პროპაგანდის თავისუფლება. რასობრივი თუ ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა თუ უპატივცემულობის ყოველგვარი ქადაგება კანონით ისჯება.

საბჭოთა მოქალაქენი მოკლებული არიან ნარკოტიკების გაყიდვის, პორნოგრაფიულ გამოცემათა გავრცელების თავისუფლებას. **გარდენ** არ ანიჭებს თავისუფლებას ხულიგანს, ადამიანის ქვეყნა ქცევების ქადაგს. ცხადია, რომ ყოველივე ეს მთელი საზოგადოების საკითხია და ეროვნულ კანონმდებლობაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, წვრილბურჟუაზიული ინსტინქტებით გატაცება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ამ ყველაფერ ამ ბოლოს ერთ-ერთ ადგილზე ეს ასეა ჩაწერილი: „ეს ბოროტებანი ადამიანთა ცხოვრებაში ადგილ-ადგილ ჯერ ჯერობით ჯერ ჯერ ჯერ

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

ისტორიის ახალი თავი

კოპენჰაგენი, 18 აგვისტო. (საკდესი). დანიის კომპარტიის თეორიულმა ორგანომ ყურნალმა „ტიდენმა“ გამოაქვეყნა ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრის, დანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ნერლუნდის სტატია „ოქტომბრის რევოლუციის გავლენა დანიაში კომუნისტური მოძრაობის განვითარებაზე“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, წერს ავტორი, იმ მოვლენად იქცა, რომელმაც მაშინვე უფრმესი ზეგავლენა მოახდინა დანიის მუშათა მოძრაობაზე. დანიის მუშათა მოძრაობაში რევოლუციური სოციალიზმის იდეისა და პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლა განუყოფლად იყო დაკავშირებული საერთაშორისო სოლიდარობასთან, ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს დასაცავად.

დანიის ყურნალ „ტიდენის“ ფურცლებზე

□

ოქტომბრის რევოლუციამ დაიწყო ისტორიის ახალი თავი. დასაბამიდანვე რევოლუციის საქმე იყო საზოგადოების ძირეული გარდაქმნისათვის დანიის მუშათა კლასის ბრძოლის საქმე. და ამით მან ნელი შეუწყო დანიაში კომუნისტური მოძრაობის განვითარებას.

1976 წელს, აღნიშნა ი. ნერლუნდმა, დანიის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო ახალი პროგრამა, რომელიც წინსვლის გზებს მიუთითებდა ისეთი დემოკრატიისათვის ბრძოლაში, რომელიც შეიძლება დანიის სოციალიზმზე გადასვლის ფორმად იქცეს. კომპარტიამ ყოველმხრივ განმტკიცა თავისი პოზიციები, იგი გადაიქცა ძლიერად მტკიცე და ორგანიზაციულად დარაზმულ პარტიად. ეს შესაძლებელი გახდა იმის მეშვეობით, რომ კომპარტია იყო და რჩება მუშათა კლასის რევოლუციურ პარტიად, და ორმაგ აქვს გადგმული ფესვები ამ კლასში. პარტიის ასეთი განვითარება შესაძლებელი გახდა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ისტორიულ პერიოდში, რომელსაც დასაბამი მისცა ოქტომბრის რევოლუციამ, ისეთ პერიოდში, როცა სოციალიზმის მშენებლობა პრაქტიკულად ხორციელდება.

იმ დროს, როცა იმპერიალისტური წრეების ჯერ კიდევ შეუძლიათ დიდი ტანჯვა-ვაება მოუტანონ კაცობრიობას, სოციალისტმა ხალხებს ნათელი მომავლის დიდ იმედებს აძლევს.

სკანდალი ძლიერდება

მოითხოვენ სამხედრო დამნაშავის გ. კაპლერის იტალიის მთავრობისათვის გადაცემას

ბონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ამ ამბავმა, რომ რომის სამხედრო ჰოსპიტალიდან გაიტაცეს, მერე კი დასავლეთ გერმანიაში დამალეს სამხედრო დამნაშავე კაპლერი, რის შედეგადაც გაუქმდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. შმიდტის ვიზიტი იტალიაში, დიდი პოლიტიკური სკანდალი გაფოფინვია და საგრძნობლად გაამწვავა ორი ქვეყნის ურთიერთობა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მემარჯვენე ძალებმა ფართო პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღეს იმის წინააღმდეგ, რომ სს-ელი ჯალათი იტალიის ხელისუფალთ გადასცეს. ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ ჰ. კოლმა ბონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა „შეიწყალონ კაპლერი“.

რომი, 18 აგვისტო. (საკდესი). იტალიის მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას გადასცეს გ. კაპლერი. სამხედრო დამნაშავის გაქცევასთან დაკავშირებით მთავრობას მოსდის ქალაქის მერების, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანების, პოლიტიკური მოღვაწეების საპროტესტო დეპეშები და განცხადებები, სადაც ისინი გულისწყრომას გამოთქვამენ, მწვავედ აკრიტიკებენ ხელისუფალთ.

ბრძოლები გრძელდება

აფრიკის რქის რაიონის ამბების გამო

ნაირობი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც ეთიოპიის აღმოსავლეთი რაიონებიდან იუწყებიან, ომ გრძელდება ხანძრლო მოქმედება ეთიოპიის შეიარაღებულ ძალებსა და ეგრეთ წოდებული „დასავლეთ სომალის განთავისუფლების ფრონტის“ რაზმებს შორის. ამ „ფრონტის“ ძალებს მემადგენლობაში, რომელიც ცდილობს ეთიოპიას წაართვას ოგადენი, როგორც დასავლეთის სინფორმაციათ საიმენტები აღნიშნავენ, მოქმედებენ სომალის არმიის სამხედრო მოსამსახურენი.

ადის-აბებს რადიო იუწყება, რომ საბრძოლო ოპერაციების დროს ჰიბუტისა და სომალის საზღვრების შორიახლოს მდებარე რაიონში ჩამოვდეს სომალის ორი სამხედრო თვითმფრინავი.

ეთიოპიის ამ ოლქის უდიდეს ქალაქში — დირე-დაუაში ამჟამად მშვიდი ვითარებაა. მოწინააღმდეგის ჯარები, როგორც რადიო აცხადებს, ქალაქიდან 60 კილომეტრზე უკუაგდეს. ადის-აბებიდან იუწყებიან, რომ საბრძოლო მოქმედების რაიონში გადაკაკავთ ეთიოპიის არმიისა და სახალხო მილიციის მაშველი ძალები.

ადენი, 18 აგვისტო. (საკდესი). სომალისა და ეთიოპიამ ყოფნის შემდეგ ადენში ჩამოვიდა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის დელეგაცია. მისმა ხელმძღვანელმა, ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილემ ფ. ბანგურამ აღნიშნა, რომ გამართული მოლაპარაკების დროს სომალისა და ეთიოპიის მთავრობებმა დელეგაციას ალუთქვეს, რომ ისწრაფვიან მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ კონფლიქტი და განაგრძონ ბრძოლა აფრიკის ამ რაიონში იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ.

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). ფრანგული გაზეთი „ექო“ იუწყება, რომ პეკინს განზრახული აქვს ჩაერიოს აფრიკის რქის რაიონის კონფლიქტში. გაზეთი წერს, რომ ჩინეთმა გადაწყვიტა სომალის დაუჭიროს მხარი ეთიოპიასთან შეიარაღებულ შეტაკებებში.

ბ. ბრანდტი შეშფოთებულია

ბონი, 19 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ბრანდტმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. შმიდტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქვამს „შეშფოთებას დასავლეთ გერმანიაში ნეონაციისტური ჯგუფების მზარდი აქტივობის გამო“.

მან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ყურადღება მიაპყრო იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობაში სულ უფრო მეტი წერილი მოდის, რომლებშიც აღშფოთებას გამოთქვამენ სხვადასხვა „საბრძოლო გაერთიანებისა“ და პოლიტიკური ჯგუფების შეკრებებს გამო.

მართალია, „ჩვენს ქვეყანაში ამგვარი შეხვედრების ორგანიზატორები და მონაწილეები აშკარა უმცირესობას წარმოადგენენ“, აღნიშნა ვ. ბრანდტმა, მაგრამ მათი მოქმედება დასავლეთ გერმანიის ბევრი მოქალაქის შეშფოთებას იწვევს.

ПРЕСС-КОНФЕРЕНЦИЯ

МОЛИПУЛИ ГЗЛИТ

პეკინელ ხელმძღვანელთა ანტიხაბეთა, ანტიკომუნისტური პოლიტიკა, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული, ზიანს აყენებს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას — ასეთ დასკვნას აკეთებს ბრატისლავის გაზეთი „პრავდა“. სტატიაში, რომელსაც მკითხველებს მცირეოდენი შემოკლებით ვთავაზობთ, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგება არა მარტო ჩინელი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

ᲖᲔᲙᲘᲜᲘᲡ ახლანდელი ხელმძღვანელების საგარეოპოლიტიკური საქმიანობისათვის დამახასიათებელია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ აშკარა იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება. კეკინი განაგრძობს კავშირის განმტკიცებას იმპერიალიზმთან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მსოფლიო სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბაზაზე.

თვლის რა ამ ბრძოლაში თავის მოკავშირეებად თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე რეაქციულ ძალებს, პეკინის ხელმძღვანელობა ცდილობს გაამწვავოს საერთაშორისო მდგომარეობა, გაართულოს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა, ეწევა ომის პროვოცირებას. ამ უკანასკნელ ნაწილში პეკინში ტყუილად როდი ლაპარაკობენ სულ უფრო ენერგიულად ახალი მსოფლიო ომის გარდუვალობაზე.

„მესამე სამყაროში“ პოზიციების მოპოვების და განმტკიცების მიზნით მაოისტები ცდილობენ, ერთი მხრივ, უთანხმოება ჩამოაგდონ განვითარებად ქვეყნებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, განხეთქილება შეიტანონ მათთან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთობაში. ამით სურთ არარად აქცევონ მოუმხრობლობის მოძრაობის ანტიიმპერიალისტური მიმართულება.

ჩინეთში გრძელდება მძაფრი ანტისაბჭოთა, პრაქტიკულად ანტიკომუნისტური კამპანია. მის გამაფრებისათვის იყენებენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, იმის ნაცვლად, რომ ჩინელ ხალხს მისი შინაარსი გაიცნოს, პეკინის პროპაგანდა ცდილობს დაამახინჯოს ამ დოკუმენტის მნიშვნელობა და არსი. განსაკუთრებით თავს ესხმიან მშვიდობის ლენინური საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციურად განმტკიცებულ პრინციპებს, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის პრინციპებს.

ამავე დროს პეკინის პროპაგანდა თვალს ხუჭავს პროექტის იმ ნაწილზე, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, პირად უფლებებსა და თავისუფლებებზე, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებასა და გაფართოებაზე. და ეს შემთხვევითი არ არის. თანამედროვე ჩინეთში ასეთ უფლებებზე ამჯობინებენ საერთოდ არ ილაპარაკონ.

შინაპოლიტიკური ვითარება ჩინეთში ხასიათდება მშრომელთა ცხოვრების ისედაც დაბალი დონის განუწყვეტელი დაქვეითებით, ხელისუფლებისათვის მძაფრი ბრძოლით, ქვეყნის სულ უფრო მზარდი მილიტარიზაციით. სამხედრო მიზნით გამოყოფილმა ასიგნებებმა ჩინეთში სახელმწიფო ბიუჯეტში 20-დან 40 პროცენტამდე მიაღწია. ასეთი ასიგნებები რომ არა, პეკინელი ხელმძღვანელები ვერ შეძლებდნენ მოლაპარაკების გამართვას (რომელიც ახლა მიმდინარეობს) განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების წარმომადგენლებთან ჩინეთისათვის იარაღისა და სხვა ტექნიკის მიწოდების შესაძლებლობაზე.

პეკინის ახლანდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო ჩინელი ხალხის, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობის და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

მოკლედ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□

იმპერიალისტთა ცდა ჩაიშალა

● **ლუსაკა.** ზამბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიტეკე მვალემ განაცხადა, რომ როდეზიის პრობლემის გადასაწყვეტად ლონდონისა და ვაშინგტონის მიერ შემოთავაზებულ არავითარ ხაზვო ინიციატივებზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი, სანამ თვით ამ კრიზისის ფესვები არ მოისპობა.

მან აქ მყოფი მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს დელეგაციის მიღებისას აღნიშნა, რომ ჩაიშალა როდეზიაში აფრიკელთა უმრავლესობისათვის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემის უველა ადრინდელი ცდა.

მოითხოვენ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას

● **ტოკიო.** ხაპურობლეების ტუსაღების ოჯახთა ასოციაციამ მოითხოვა დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც სამხრეთ კორეის პაკ ჭონ ჰის დიქტატორული რეჟიმის ჯურღმულებში ატანჯებიან. ამ ორგანიზაციის გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში დემოკრატიის დამყარების მომხრეთა დაპატიმრება ალმაფეთოებელი დარღვევაა.

გვალვა გამგზიავი

● **დაკარი.** განუულ ში გამოაცხადეს, რომ გამბია შევიდა ხაჭილის გვალვიანი ზონის ქვეყნების სიაში. ქვეყნის პარლამენტში გამოსვლისას გამბიის ხოფლის მეურნეობისა და ეროვნული რესურსების მინისტრმა იაია ხისეიმ აღნიშნა, რომ ქვეყნის იმ რაიონებში, სადაც საკვანი უდაბნოში გადადის, კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი. გვალვის შედეგად, 1972 წლის უბედურების მსგავსად, თქვა მან, დასავლეთ გამბიაში გაფუჭდა მარცვლოვანი კულტურების ნათესების დაახლოებით 70 პროცენტი, მთლიანად ქვეყანაში კი ძირითადი კულტურების — ფეტვისა და სიმინდის წარმოება 40 პროცენტით შემცირდა. ქვეყანას სასწრაფოდ დახმარება სჭირდება, განაცხადა მინისტრმა.

1977 წლის 17 აგვისტო. ეს ის დღეა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გაბედული მიღწევების მატეანეში შევა. დღეს ჩრდილოეთ პოლუსის გეოგრაფიული წერტილის „თეთრი მდუმარება“ პირველად დაირღვია გემის სიყვირის საზეიმო ხმამ. საბჭოთა გემმშენებლობისა და საბჭოთის საზღვაო ფლოტის სიამაყემ — ატომურმა ყინულმჭრელმა „არქტიკამ“, რომელზეც ოქტომბრის სამშობლოს ალისფერი დროშა ფრაიალებს, გაარღვია ცენტრალური არქტიკული აუზის ყინულის ჯავშანი და „თავისუფალი ცურვით“ იმ წერტილზე ავიდა, სადაც ერთდებიან მერიდიანები. საბჭოთა ადამიანებმა სინამდვილედ აქციეს, გულადი მეზღვაურებისა და პოლარული მკვლევარების საუკუნოვანი ოცნება და ანდერძი წყალზედა სომალდთ პოლუსის მიღწევის შესახებ.

ეს ყინულები პირველად როდი ხედავენ ნამალითა და ურთოთ დამშვენებულ წითელ დროშას. 40 წლის წინათ იგი აქ აღმართეს პაპანინელებმა. 90 გრადუსით აღნიშნული განედი არაერთხელ გადაუჭრიათ საბჭოთა სამეცნიერო სადგურების „ჩრდილოეთ პოლუსის“ დრეიფის ტრასებს. აქ ყოველ გაზაფხულზე სამეცნიერო კვლევისათვის ეშვებიან სპეციალურად მაღალგანედური ექსპედიციების „სევერის“ თვითმფრინავები. 1962 წელს ცენტრალური არქტიკის ყინულებში ნაყვინთა და პოლარულ წერტილში ამოვიდა ატომური წყალქვეშა ნავი „ლენინური კომკავშირი“. და აი ახლა, მისმა მძლავრმა თანამოძმე ყინულმჭრელმა ოქტომბრის შე-60 წლისთავის საიუბილეო წელს ბრწყინვალედ განაგრძო არქტიკის იდუმალებაზე შეტევის, პოლუსის შესწავლისა და ათვისების სახელოვანი ესტაფეტა.

ბალტიის გემთსაშენებელ ქარხანაში ლენინგრადელი გემთმშენებლების მიერ აგებულმა ატომურმა გოლიათმა, რომლის ძრავების სიმძლავრე 75 ათას ცხენის ძალას უდრის, ყინულებში უკვე თავისი პირველი ლაშქრობებით გადასახჭვინა ადამიანებს თავიანთი წარმოდგენა ჩრდილოეთის ზღვებში ნავიგაციის ვადებსა და ტრასებზე. მაგალითად, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ატომმავალის ეკიპაჟმა საბჭოთა ყინულმჭრელების ფლოტის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კაპიტნის ი. ს. კუჩიევის მეთაურობით პირველად მიიყვანა სატრანსპორტო გემები იამალის ნახევარკუნძულთან. ეს მოხდა თებერვალსა და მარტში, საოცრად მოკლე ვადაში, როცა ყინულის საფარი სანაპიროსთანაც კი განსაკუთრებით სქელი და მაგარია. „არქტიკის“ ბადალი არა ჰყავს მსოფლიო საზღვაო ფლოტში. ეს მომავლის ყინულმჭრელების პირველსახეა.

პოლუსისაკენ მაღალგანედური საზღვაო ლაშქრობა განხორციელდა იმისათვის, რათა სრულად შეესწავლათ მეშაობის პროცესი გემის სხისტემები და კონსტრუქციები, შეემუშავებინათ განსაკუთრებით რთულ ყინულოვან პირობებში ნაოსნობის საშეცნიერო-ოპერატიული უზრუნველყოფის მეთოდები, გამოეკვლიათ ყინულოვან ოკეანეში ახალი პერსპექტიული სანაოსნო ტრასების გამავლობა. აი, ასე განხორციელდა მაღალგანედური საზღვაო ლაშქრობა პოლუსისკენ.

ამ ნაოსნობის ყოველი დღე, ყოველი საათი აღსავსე იყო მოვლენებით, აღსავსე იყო ეკიპაჟისა და ექსპედიციის ყველა წევრის სწრაფვით, რაც შეიძლება უკეთ შეესრულებინათ საშობლოს დავალება.

აი სალაშქრო დღიურების მოკლე სტრიქონები:

9 აგვისტო. მურმანსკის გარეთ რეიდი. უამრავ გემს შორის „არქტიკა“ შორიდანვე გამოირჩევა თავისი ზედნაშენების ნარჩენჭისფერი პოლარული შეფერილობით. 19 საათსა და 30 წუთზე ატომმავლის ხაპარიდან კიბეს უახლოვდება „ოკეტი“, ქიმზე ადის მაღალგანედური ზღვაოსნობის კაპიტანი, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი ტ. ბ. გუჟენკო.

— ატომური ყინულმჭრელი „არქტიკა“ სალაშქროდ მზად არის, — გაისმის კაპიტან ი. ს. კუჩიევის პატაკი. ფოკ-ანძაზე აღიმართა მინისტრის ალამი — წითელ ფონზე გადაჯვარედინებული ღუზა თეთრ რომბში. ამ წუთიდან „არქტიკა“ საბჭოთა საზღვაო ფლოტის საფლაგმანო ხომალდი ხდება. 20.00 საათზე ხომალდმა ღუზა ამოიღო, და თანდათან უმატებს სიჩქარეს. რეიდზე მდგომი გემები სალუტს აძლევენ ატომმავალს და დროშებს დაბლა ხრიან.

10 აგვისტო. ბერენცის ზღვა. ტალღა ოდნავ აქანავებს გემს. ახალი მიწის ჩრდილოეთისაკენ მივემართებით. საღამოხანს მესი მოხაზულობა ლოკატორების ეკრანზე გამოჩნდა. სწორედ აქ, ახალი მიწის სანაპიროსთან, დიდმა ყინულებმა 1912 წელს გიორგი სედოვის ექსპედიციის გემი „წმინდა ფოკა“ აიძულეს გამოსახამრებლად დამდგარიყო. ატომმავლის ქიმზეა არქტიკის შესწავლის სამამულო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რელიქვია: ეს იმ დროშის ნაჭერია, გ. სედოვი რომ ოცნებობდა პოლუსზე აღემართა. იგი 1938 წელს რუდოლფის კუნძულის მოზამთრეებმა ივოვეს ფრანც იოსების მიწაზე, იქ, სადაც დაიღუპა შესანიშნავი რუსი მეზღვაური და პატრიოტი. ახლა არქტიკის ეკიპაჟს აქვს დავალებული ამ ანდერძის შესრულება.

11 აგვისტო. კარის ზღვაში მიეცურავთ. პირველი შეხვედრა ყინულთან ეგრეთ წოდებული „თბილი ყინულის“ ვიწრო ზოლდარებს ყინულმჭრელი სვლის შეუწყლებლად მაათრევს. ზოგჯერ ვიერდებით, მცირე ბრუნვით მივდივართ, ან უეცრად სწრაფად გავაქროლებთ ყინულმჭრელს. ასე გამოწმებთ მრავალრიცხოვან ტენზომეტრიულ გადამწოდებს, რომლებიც ხრასნის ფრთებზე, სანავე ხრახნის ლილვზე, გემის შიდა სამოსზე არის დადგმული. ატომმავალი ამ დღეებში თავისებურ მკურავ ლაბორატორიად იქცა სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთათვის. ექსპედიციის შემადგენლობაში არიან გემთმკვლევარები, ყინულების შესწავლისა და პროგნოზირების დარგის სპეციალისტები, იმ ახალი ხელსაწყოების შემქმნელები, რომლებიც ლაშქრობაში უნდა გამოიცდოს.

12 აგვისტო. კარიბის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროზ, ნორდენშელდის არქიპელაგი. გრანიტის პატარა კუნძულის ტრადერზზე, რომლიდანაც დაბალი შუქურა მოჩანს, გაისმის გემის საყვირის გაჭიანურებული ხმა. ეს ბელუხას კუნძულია. აქ 1942 წელს ყინულმჭრელი გემი „სიბირიაკოვი“ ფაშისტურ კრეისერთან „ადმირალ შეერთან“ უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. გემს დროშა არ დაუხრია და გმირულად დაიღუპა. მას შემდეგ ყველა საბჭოთა გემი, „სიბირიაკოვის“ დაღუპვის ადგილზე რომ გაივლის, სალუტს იძლევა გულადი მეზღვაურების ხსოვნის პატივსაცემად. ჩრდილოეთის საზღვაო გზის შრომითი და საბრძოლო ტრადიციების ერთგულებაზე, საბჭოთა ქვეყნის საზღვაო დიდების განმტკიცებისათვის მზადყოფნაზე ილაპარაკეს „არქტიკის“ მეზღვაურებმა საღამოს მოწყობილ ღია პარტიულ-კომკავშირულ კრებაზე. კრების დღის წესრიგში იყო ჩრდილოეთ პოლუსზე ლაშქრობა და ეკიპაჟის ამოცანები.

ჩრდილოეთის პოლუსზე ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ ლაშქრობის რუკა.
საკდესის ფოტოქრონიკა.

თხუთმეტი საათი პოლუსზე

„თეთრი მდუმარება“ პირველად დაირღვა

13 აგვისტო. ღამით გავიარეთ ჩელუსკინის კონცხი — ევრაზიის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი და არქტიკის „მთავარი ყინულოვანი კარიბჭე“ — ვილკიცკის კარი. ამჟერად ეს კარიბჭეც სტუმართმოყვარულად გაიღო ატომმავლის წინ. ყინულები თითქმის არ არის. ცალკეული ველები კი თითქოს თავისით იხსნება ფოლადის ფირფიტების წინ.

დილას პირდაპირ ჩვენს კურსზე გამოჩნდა შორეული ყინულოვანი დაზვერვის თვითმფრინავი „ილ-14“, რომლითაც უზრუნველგყოფენ სანაპიროს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრები და სადგურები. დამრეც ვირაჟში გართხმული თვითმფრინავი ოდნავ აქანავებს ფრთებს და ასე ესალმება ყინულმჭრელს. კიდევ უფრო გაკვანცარი ამის გამგებამ, რომ თვითმფრინავზე იმყოფებოდა ჩრდილოეთ პოლუსზე პირველი საბჭოთა საპაერო ექსპედიციის ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის გმირი მ. ი. შეველევი და პაპანინელთა გადმოსხდომის მონაწილე ფიოდორ შტურმანი ნ. მ. ფედოროვი. ისინი ბედნიერ ნაოსნობას გვისურვებენ. დაზვერვის ცნობები ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელია: პოლუსის რაიონში მძლავრი ყინულების ძლიერი შეკუმშვა აღინიშნება.

14 აგვისტო. ლაპტევების ზღვის ჩრდილოეთი საზღვარი. 3 საათი და 38 წუთია. აი ისიც — უფყვეტი ყინულების ნაპირი, რომელიც ულასრულო თეთრ საფარველად მიემართება ჰორიზონტს მიღმა. ბოგაზე დგანან ტ. ბ. გუჟენკო, ი. ს. კუჩიევი, ხომალდის სამსახურეობისა და საექსპედიციო ჯგუფების ხელმძღვანელები. ვითარებას გვაცნობს ჰიდროლოგი ვ. მ. ლოსევი, რომელიც ვერტმფრინავით იყო დაზვერვაზე და ეს-ეს არის დაბრუნდა.

ი. ს. კუჩიევი მიკროფონს იღებს: — კურსი — ნორდი! პოლუსამდე 600 მილია.

15 აგვისტო. ყინულოვანი ოკეანე. ატომმავალი თრთის, ყინულების წვეტიან წახნაგებზე ქიმს აღრჭიალებს და მაინც არ ანელებს სვლას. ჩრდილოეთის ზღვებში არაერთხელ ნამყოფი მეზღვაურებიც კი გაოცებული არიან მისი გოლიათური ძალით: ველის ზოგიერთ უბანზე, რომლის სისქე 13 აგვისტო. ღამით გავიარეთ ჩელუსკინის კონცხი — ევრაზიის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი და არქტიკის „მთავარი ყინულოვანი კარიბჭე“ — ვილკიცკის კარი. ამჟერად ეს კარიბჭეც სტუმართმოყვარულად გაიღო ატომმავლის წინ. ყინულები თითქმის არ არის. ცალკეული ველები კი თითქოს თავისით იხსნება ფოლადის ფირფიტების წინ.

დილას პირდაპირ ჩვენს კურსზე გამოჩნდა შორეული ყინულოვანი დაზვერვის თვითმფრინავი „ილ-14“, რომლითაც უზრუნველგყოფენ სანაპიროს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრები და სადგურები. დამრეც ვირაჟში გართხმული თვითმფრინავი ოდნავ აქანავებს ფრთებს და ასე ესალმება ყინულმჭრელს. კიდევ უფრო გაკვანცარი ამის გამგებამ, რომ თვითმფრინავზე იმყოფებოდა ჩრდილოეთ პოლუსზე პირველი საბჭოთა საპაერო ექსპედიციის ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის გმირი მ. ი. შეველევი და პაპანინელთა გადმოსხდომის მონაწილე ფიოდორ შტურმანი ნ. მ. ფედოროვი. ისინი ბედნიერ ნაოსნობას გვისურვებენ. დაზვერვის ცნობები ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელია: პოლუსის რაიონში მძლავრი ყინულების ძლიერი შეკუმშვა აღინიშნება.

14 აგვისტო. ლაპტევების ზღვის ჩრდილოეთი საზღვარი. 3 საათი და 38 წუთია. აი ისიც — უფყვეტი ყინულების ნაპირი, რომელიც ულასრულო თეთრ საფარველად მიემართება ჰორიზონტს მიღმა. ბოგაზე დგანან ტ. ბ. გუჟენკო, ი. ს. კუჩიევი, ხომალდის სამსახურეობისა და საექსპედიციო ჯგუფების ხელმძღვანელები. ვითარებას გვაცნობს ჰიდროლოგი ვ. მ. ლოსევი, რომელიც ვერტმფრინავით იყო დაზვერვაზე და ეს-ეს არის დაბრუნდა.

ი. ს. კუჩიევი მიკროფონს იღებს: — კურსი — ნორდი! პოლუსამდე 600 მილია.

15 აგვისტო. ყინულოვანი ოკეანე. ატომმავალი თრთის, ყინულების წვეტიან წახნაგებზე ქიმს აღრჭიალებს და მაინც არ ანელებს სვლას. ჩრდილოეთის ზღვებში არაერთხელ ნამყოფი მეზღვაურებიც კი გაოცებული არიან მისი გოლიათური ძალით: ველის ზოგიერთ უბანზე, რომლის სისქე მეტრნახევარზე მეტია, ვიმი 14 და კიდევ მეტი ჯანის სიჩქარით მიდის. „რეკორდების დღე“ — ასეთი ჩანაწერი დარჩა ჩემს დღიურში. 16.00 საათზე ჩვენ გავიარეთ 83 გრადუსი და 06 მინუტი განედი — აქტიური ცურვის უკიდურესი წერტილი, რომელსაც ამ რაიონში ყინულმჭრელმა „ირმაკმა“ მიაღწია 1938 წელს.

ღამით კი გადავლახეთ 85-ე მერიდიანი და პოლუსის მახლობელ რაიონში შევედით. არავინ არასდროს არ შესულა ესოდენ მაღალ განედებში. აქ გაიარა მხოლოდ „ფრამის“, „სედოვის“, „ჩრდილოეთ პოლუსის“ სადგურების დრეიფების ტრასებმა.

„არქტიკაზე“, რომელიც ყინულებს ურტყამს, საბჭოთა ვიმის ჩვეულებრივი ცხოვრება სუფევს. კიბეებზე ატომმანიაში დასვენების საღამოა. მეზღვაურთა ინსტრუმენტული ანსამბლი ლია პარტიულ-კომკავშირულ კრებაზე. კრების დღის წესრიგში იყო ჩრდილოეთ პოლუსზე ლაშქრობა და ეკიპაჟის ამოცანები.

„ოკეტი“ ატომურ ყინულმჭრელ „არქტიკასთან“ ერთად ვიმების სვლას უზრუნველყოფდა დიზელ-ელექტრული ყინულმჭრელი „მურმანსკი“. მათ შეასრულეს ხუთი ვიმრეისი. თებერვლიდან აპრილამდე ექსპედიციური მუშაობის 50 დღეღამეში ხარასავეზე მოვიტანეთ 36 ათას ტონაზე მეტი ტვირთი. ამ მარშრუტით ჩვენამდე არავის ეგზავნა. ვიმზე იყვნენ მეცნიერები, ჩრდილოეთის მკვლევრები, ექსპერიმენტმა წარმოაჩინა ოკეანის დასავლეთის სანაპიროს ზოგიერთ მონაკვეთზე ნავიგაცია გაგრძელდა 8 თვემდე. შემდგომ ზამთრის პირობებშიც გაგრძელდება ექსპერიმენტული ცურვა, რაც საშუალებას მოგვცემს დავიგროვოთ საკმაო გამოცდილება, რათა შეიქმნას ჩრდილოეთის სწრაფმზარდი მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად გადაზიდვის ოპტიმალური სქემა.

წინასწარი მონაცემებით ირკვევა, რომ ჩრდილოეთის ნავიგაციის გახსნის ვადები მნიშვნელოვნად გადმოიწევს. „არქტიკის“ ეკიპაჟი ამ მიღწევებს ეუძღვნით დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის იუბილეს.

ახლა ენერგიას ჩემს მშობლიურ ოსეთში ვიკრებ. წინ დიდი მიზნები და ამოცანებია. ყინულის მეტრის მსგავსი ენერგიას მოითხოვს. ამ ენერგიას ჩვენში აზღვევენ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა, რაც ასე კარგად და სრულყოფილად გამოიხატა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტით.

ხაუბრის ბოლოს მამაც კაპიტანს ჯანმრთელობა და წარმატებები ვუსურვეთ. და რა ვიცოდით მაშინ, თუ რას ნიშნავდა მისი სიტყვები „დიდი ვეგმები და ამოცანები“. ეს იყო თურმე კაცობრიობის საუკუნოვანი ოცნების განხორციელება — ვემს მიეღწია ჩვენი პლანეტის უკიდურეს წერტილამდე, სადაც მერიდიანები იყრიან თავს.

ბ. თედეევი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲗᲐᲜ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ „ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ“ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲩᲘᲔᲕᲘ

ამ ზაფხულს სამხრეთ ოსეთის ლამაზ კურორტ ჯავაში შვებულება გაატარა მსოფლიოში უდიდესი ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ კაპიტანმა ᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲩᲘᲔᲕᲛᲐ.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი გ. თედეევი შეხვდა სახელგანთქმულ კაპიტანს და სთხოვა მკითხველებისათვის ეამბნა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ნაოსნობისა და „არქტიკის“ მამაცი ეკიპაჟის ამბავი.

აი რა თქვა მან:

ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ ათვისების დაუოკებელი სურვილი კაცობრიობას ოდითგან მოსდევს. მეოცე საუკუნე აქაც თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. ჩრდილოეთის ათვისების საბ

შრომითი სემესტრი

მოლდავეთში აშენებენ თბილისელი სტუდენტები

„ლუჩეფი „ხუროთმოძღვრის“ რაზმის მებრძოლთა თვალით“ — ასე ეწოდება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენას მოლდავეთის კაგულის რაიონის სოფელ ლუჩეშტში. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს ვერნისაჟზე იქსპონირებული 30 პეიზაჟი, პორტრეტი და მეგობრული შარჟი საჭურველად დუტოვონ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებსაც მოლდავეთში შრომითი სემესტრის დროს დაუმეგობრდნენ.

„ხუროთმოძღვარი“ ლუჩეშტში აშენებს კაგულის რაიონის ხბორების გამოსაზრდელ პირველ სამეურნეობათმორისო კომბინატ ქ ს ს. მომავალმა ფერმაწყრებმა, მოქანდაკეებმა და დიზაინერებმა აქ აითვისეს მებათქაშეების, კალატოზების, მღებავების სპეციალობები. მათ ვალდებულება იკისრეს კომბინატის მშენებლობაზე შეასრულონ 200 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები, რაც ეგებით გათვალისწინებულზე ერთთორად მეტია.

ახალგაზრდები ერთსულოვნად, ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობენ. თუმცა ძალიან მოუცლელი არიან, მაინც პოულობენ ოროს, რომ სოფელს დაეხმარონ ამასწინანდელი მიწისძვრის შედეგად დანგრეული საცხოვრებელი შენობების, სკოლის, საბავშვო ბაღისა და კლუბის აღდგენაში. დასვენების დღეებში ქართველი სტუდენტები მინდვრის მშრომელებთან ერთად აწყობენ სპორტულ შეჯიბრებებსა და მხატვრული თვითმოქმედების კონცერტებს.

(საკ. კორ.).

□

სტუდენტთა წვლილი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ჩაქვის ნაის საბჭოთა მეურნეობაში ქუთაიაის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მეხუთე შრომითმა სემესტრმა მუშაობა კოლექტივს კეთილად დამახსოვრა თავი. — გეგმით უნდა მოგვეკრიფა 25 ტონა ჩაის ფოთოლი, — თქვა რაზმის მეთაურმა გ. ფხაკაძემ. — გეგმას გადავაჭარბეთ, აღრე აღებული ვალდებულების გადამგებები მოვკრიფეთ 5 ტონა.

საქართველოს ფოთა-ბარში

უოველ წელს ათასობით მოგზაურობს მოყვარული ნერდება ქუთაისის ტურისტულ სასტუმრო „ხვამლში“.

სასტუმროში, კეთილმოწყობილი ნომრების გარდა, ტურისტთა განკარგულებაშია საყოფაცხოვრებო მომსახურების კაბინეტები, საცეკვაო დარბაზები. სასტუმროს კომბლექსს მეორე რიგის მწყობრში ჩადგომის შემდეგ აქ გაიხსნება ტურისტული კაბინეტები, 400-ადგილიანი კონდარბაზი, საბილიარდო.

სურათზე: ზემოთ — ტურისტული სასტუმრო „ხვამლი“.

ბორჯომში მალე ხაეკუსპლოატაციოდ გადაეცემა საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმი „მთის ხეობა“. დამსვენებლების განკარგულებაში იქნება კომფორტული საძინებელი ნომრები, სამკურნალო კაბინეტები, კლუბი და სახადილო.

სურათზე: ქვემოთ — სანატორიუმ „მთის ხეობის“ მშენებლობაზე საწარმოო პრაქტიკას გადიან ქალაქ ხოსუთის № 45 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ნ. მეტრეველი, ა. ივანჩენკო, დ. მანჩხაშვილი, მ. პირველი, რ. ცანავა და ი. დემედიუკი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

უნივერსიადის ჩირაღდნით

პირველი ოქროს მედლები საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს

□

სოფიაში უნივერსიადაზე „მუშა დღეები“ დადგა. ხუთი კონტინენტის ახალგაზრდა სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძალსა და სიმარდეში.

უნივერსიადის მონაწილეთა ზუსტი ციფრის დასახელება ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს... ასპარეზობათა დამთავრების შემდეგ, რადგან საქმე ის არის, რომ ზოგიერთი დელეგაციაა ჯერ კიდევ არ ჩამოსულა სოფიაში და იმ სახეობებში გამოვლენ, რომლებიც მოგვიანებით გაიმართება.

შეჯიბრებათა პირველ დღეს ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია ტანმოვარჯიშეთა გუნდურმა ასპარეზობამ,

და აი პირველი ოქროს მედლების მფლობელნიც გამოვლინდნენ — იგი დაიმსახურეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა. სოფიის ფიცარნაგზე ჩეხეს სტუდენტურ ნაკრებს წარმოადგენდნენ ევროპის ჩემპიონატის სამივე პრიზიორი — მოსკოველი ვლადიმერ მარკელოვი, როსტოველი ვლადიმერ ტიხონოვი და ეორონეიელი ალექსანდრე ტკაჩევი, ავრეთვე ლენინგრადელი ალექსანდრე დიატჩინი. საბჭოთა გუნდმა 171,60 ქულა მოაგროვა და 1,45 ქულით გაუსწრო მთავარ და მუდმივ მეტოქეს — იაპონიის ნაკრებს. მესამე ადგილზე გავიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები — 169,20 ქულა, შემდეგ მოდიან ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუმინეთის, უნგრეთის, კუბის სპორტსმენები.

გამარჯვებულებს ორ ვლადიმერსა და ორ ალექსანდრეს ოქროს მედლები გადასცა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ (იტალია).

ევროკის ჩემპიონატი

„ოქროს“ და „ვერცხლის“

ინნსბრუკში საცურაო აუზში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მინსკელმა ვლადიმერ ალეინიკმა დაძაბულ ბრძოლაში ოქროს მედალი დაიმსახურა კოჭურიდან ხტომაში. მეორე ადგილზე გამოვიდა ეროვნელი დავით ამბარცუმიანი.

ფეხბურთი

ლიდერებს გაუჭირდათ

გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. აღსანიშნავია, რომ ამ ტურში ლიდერებს გაუჭირდათ. ტაშკენტის „პახტაკორმა“ თავის მოედანზე დამარცხება იწვნია სომფეროპოლის „ტავრიასთან“ — 0:2, მინსკის „დინამომ“ კიმერეოვში წაგო „ კუზბასთან“ — 1:2, მოსკოვის „სპარტაკი“ ფრეს დასჯერდა პერმში „ზვეზდასთან“ — 1:1, აზხაბადის „კოლხეთი“ კი მოუგო გროზნოს „ტერეკს“ — 3:1.

წაგების მიუხედავად „პახტაკორმა“ შეინარჩუნა ლიდერობა — 31 ქულა. მეორე ადგილზე 30 ქულით (ბურთების უკეთესი სხვაობით) გადაინაცვლა მოსკოვის „სპარტაკმა“. ამდენივე ქულა აქვთ მინსკის „დინამოსა“ და „კუზბასს“. ლიდერებს 28 ქულით დაუახლოვდა „ტავრია“. ქუთაისის „ტორპედო“ 20 ქულით კვლავ მეცამეტე ადგილზეა.

მეორე ლიგაში

გაიმართა ფეხბურთელთა მეორე ლიგის გუნდების მორიგი მატჩები. აი როგორ თამაშობს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა: ბათუმის „დინამო“-კიროვაბადის „პროგრესი“ — 2:0, ზუგდიდის „დინამო“-ლენინაკანის ფორაქი — 1:1, გორის „დილა“-თბილისის „სპარტაკი“ — 0:0, მახარაძის „დინამო“-სმარტელიის „ლოკომოტივი“ — 3:1, ნალჩიკის „სპარტაკი“-სოხუმის „დინამო“ — 2:1, მაიკოპის „დრუჟბა“-ლენინაკანის „გურია“ — 2:0.

გაიმარჯვეს მინსკელებმა

თბილისში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ 1962-1963 წლებში დაბადებულ ჰაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მოსკოვის, კიევის, თბილისისა და მინსკის კოლექტივები მონაწილეობდნენ.

მეორე ტურის პირველი მატჩი დიდმის სპორტულ ბაზაზე მოეწყო. მინსკის გუნდმა ყარაგან ითამაშა კიეველ ფეხბურთელთან და გაიმარჯვა — 2:0.

„დინამოს“ სტადიონზე კი თბილისის „დინამო“ მასპინძლობდა მოსკოველ თანაკლუბელებს. თბილისელებმა სუსტად ითამაშეს და 0:2 წაგეს.

უკანასკნელ ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისისა და მინსკის „დინამოს“ გუნდების მატჩმა. მასპინძელთა დიდი სათამაშო უპირატესობის მიუხედავად ეს შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრდა. მოსკოვის დინამოელებმა ყარაგან წარმართეს მატჩი კიეველ თანაკლუბელებთან და გაიმარჯვეს 2:0.

ამრიგად, 5 ქულით „დინამოს“ საკავშირო საბჭოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მინსკის „დინამოს“ კლუბმა. 4 ქულით მეორე ადგილი ხვდათ მოსკოველებს, მესამეზეა თბილისის ნაკრები. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს ი. ზანკევიჩი (მინსკი), ვ. პავლოვი (მოსკოვი), გ. ტყეებუჩავა (თბილისი) და გ. კაპლუნოვი (კიევი). მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სამახსოვრო პრიზები.

შ. ბაბუაძე.

ჭადრაკი

გადამწყვეტი დღეები ჰავანაში

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა (საბჭოთა კავშირი) და ლ. პორტიშის (უნგრეთი) ნასვლაფინალურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. იმის მიუხედავად, რომ ამ დიდოსტატების ანგარიში მატჩამდე აშკარად სპასკის სასარგებლოდ იყო (7:2), მსოფლიოს ექსჩემპიონს არ ანიჭებდნენ უპირატესობას. საქმე ის არის, რომ სპასკიმ ექსპერტების საერთო აზრით შეძლებისდაგვარად მოუგო მეოთხედფინალური მატჩი პორტს, პორტიშმა კი, რომელიც ბრწყინვალედ იყო თეორიულად მომზადებული, საკმაოდ დამაჯერებლად სძლია ლარსენს.

პორტიშს ენერგიამი ჩაჰყავ მწვრთნელი, დიდოსტატი ფორინტოში, სპასკიმ კი შეჯიბრება დაიწყო უსუფლანტოდ, რადგან მსოფლიოს ექსჩემპიონი სმისლოვი ამ დროს ლენინგრადში თამაშობდა. სპასკის გადაწყვეტილებამ პირველ ხანებში უმწვრთნელოდ ეთამაშა მსოფლიოს ექსჩემპიონ ბოტვინიკის უკმაყოფილება გამოიწვია. ბოტვინიკმა ბელგრადის გაზეთის „პოლიტიკას“ მოსკოველ კორესპონდენტს განუცხადა: „რატომ თამაშობს სპასკი უსეკუნდანტოდ? იგი ხომ ფიშერი არ არის“.

ასე იყო თუ ისე, მიმმხილველები ფიქრობენ, რომ ერთ-ერთი პარტია სპასკიმ იმიტომ წააგო, გადადებული პარტია არასაკმარისად გაარჩიაო.

როდესაც პორტიშმა მესამე პარტია მოიგო და დაწინაურდა, სპასკის მეგობარმა, ცნობილმა იუგოსლავიელმა დიდოსტატმა ივკოვმა კორესპონდენტს უთხრა: „ძალიან კარგია, რომ ასე მალე წააგო. ახლა იგი „ეამოიდვიძებს“ და სრული ძალით ითამაშებს. სპასკი დამარცხდა კერესთან და პეტროსიანთან მატჩის დასაწყისშიც, მაგრამ, როგორც ცნობილია, შემდეგში ორივე ო